



MES 2 21 0000714552



15/07/2021

## სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

**სხდომის ჩატარების თარიღი** - 12/07/2021;  
**სხდომის დაწყების დრო** - 16:00 სთ;  
**სხდომის დამთავრების დრო** - 16:25 სთ;  
**საბჭოს თავმჯდომარე** - ირაკლი ბურდული;  
**საბჭოს მდივანი** - ანა საბახტარიშვილი.

### სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

**ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;  
**ნუგზარ სხირტლაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე პრეზიდენტი სასწავლო დარგში, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;  
**ანა საბახტარიშვილი** - ა(ა)იპ ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი - საბჭოს მდივანი;  
**გივი გაგნიძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ახალი სკოლის მოდელის მხარდაჭერი“ პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი;  
**არჩილ სუმბაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის“ აკადემიური დირექტორი;  
**კახაბერ ფარცვანია** - შპს „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის“ მასწავლებელი;  
**გიორგი ტრაპაიძე** - სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

### სხდომაზე დამსწრე პირი:

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:**  
**ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა, რომ დღის წესრიგი დამტკიცებული ყოფილიყო წარმოდგენილი, სახით.

კენჭისყრა:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0.

**სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა.

**განხილვა:**

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3.	კვალიფიკაციის დასახელება	07. სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - (07) PhD in Social Sciences, მათ შორის: - ეკონომიკის დოქტორი - (0701) PhD in Economics - სოციოლოგიის დოქტორი - (0706) PhD in Sociology - ფსიქოლოგიის დოქტორი - (0707) PhD in Psychology - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი - (0705) PhD in International Relations (10) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი - PhD in Humanities, მათ შორის: - (1006) ფილოსოფიის

		დოქტორი - (1006) PhD in Philosophy - (1005) ფილოლოგიის დოქტორი - (1005) PhD in Philology - ისტორიის დოქტორი - (1004) PhD in History
4.	კვალიფიკაციის დონე	მერვე
5.	სწავლების ენა	ქართული
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტს
7.	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია 25/05/2018, №66 გადაწყვეტილებით 7 წლის ვადით

### საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცხვება

. არა

### ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა სააპელაციო საბჭოს წევრებს და სთხოვა, დაეზუსტებინათ, იცნობდნენ თუ არა საქმის მასალებს, რაზედაც საბჭოს წევრებმა თანხმობა დააფიქსირეს.

ცენტრის წარმომადგენელმა ქეთევან ინანაშვილმა სააპელაციო საბჭოს წევრებს გააცდნო ცენტრის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ზოგადი ინფორმაცია. აღნიშნა, რომ შპს თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა შემოიტანა სააპელაციო საჩივარი სადოქტორო „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე. პროგრამა აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 25/05/2018, №66 გადაწყვეტილებით 7 წლის ვადით. გადაწყვეტილების მიღების დროს, აკრედიტაციის საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, განეხორციელებინა პროგრამის მონიტორინგი 6 თვის ვადაში. ამ ვადაში ვერ მოხდა პროგრამის შემოწმება მონიტორინგით და პროგრამა შეფასებისათვის შეტანილ იქნა 2020 წლის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. შესაბამისად, ამ პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2020 წელს.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად, ან განაცხადოს უარი საჩივრის განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები დეტალურად არის განსაზღვრული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების 28<sup>3</sup> მუხლით. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი როგორც წესი მიიღება განსახილველად.

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით ნათლად ჩანს, თუ ვის მიმართავს დაწესებულება (იმ საბჭოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება) და ამავდროულად მითითებულია, თუ რომელი გადაწყვეტილება არის გასაჩივრებული (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმების მიხედვით მოცემული გადაწყვეტილებების მიმართ (№501200, 31/05/2021 და №612591, 22/06/2021)).

აღნიშნა, რომ საჩივარში ასახულია აკრედიტაციის დებულების 28<sup>3</sup> მუხლის შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნები. გარდა ამისა, ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა არის დეტალურად აღწერილი და დასაბუთებული, წარმოდგენილია თანდართული დოკუმენტაცია. დაწესებულებას ამავდროულად წარმოდგენილი აქვს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის სასამართლოში გასაჩივრებული. დაწესებულებისათვის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ინფორმირებიდან არ იყოს გასული ერთთვიანი ვადა (დაწესებულების ინფორმირება მოხდა 2021 წლის 28 ივნისს №639973 წერილით).

გარდა ამისა, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის დებულების 28<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, დაწესებულებამ სააპელაციო საბჭოში შესაძლებელია გაასაჩივროს ამ დებულების 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში სააპელაციო საბჭოში. ხოლო ეს უნაკასკველი მუხლი ითვალისწინებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

- ა) აკრედიტაციის შესახებ;
- ბ) პირობითი აკრედიტაციის შესახებ;
- გ) აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ;
- დ) აკრედიტაციის გაუქმების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო საბჭომ მიიჩნია, რომ ვინაიდან, უნივერსიტეტის გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამომდინარეობდა აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 25 მაისს მიღებული №66 გადაწყვეტილებიდან - აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, ფორმალური თვალსაზრისით ისინი წინააღმდეგობას ვერ ხედავდნენ, რომ სააპელაციო საბჭოს განსახილველად მიეღო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი. ამასთან, მხედველობაში იყო მისაღები აკრედიტაციის დებულების 28<sup>1</sup> და 28<sup>2</sup> მუხლების სისტემური განმარტება, რომლის თანახმადაც, სააპელაციო საბჭოს შექმნისა და საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სწორედ დაინტერესებული მხარისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ თუკი, იგი მიიჩნევს, რომ არ ეთანხმება აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და იგი მის კანონიერი ინტერესებსა და უფლებებზე ახდენს გავლენას, აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა ჰქონდეს სააპელაციო წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში, სააპელაციო საჩივარი იყო დასაშვები.

აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, სთხოვა სააპელაციო საბჭოს წევრებს, კენჭი ეყარათ საჩივრის მიღების საკითხთან დაკავშირებით.


საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>3</sup> მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, მიღებული იქნეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი.

16:25 საათზე სააპელაციო საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
საბახტარიშვილი ანა

